



შპს „ომეგა მოტორსი“

(საიდენტიფიკაციო N245433231)

მმართველობითი ანგარიში

შპს „ომეგა მოტორსი“ 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ომეგა მოტორსი“ გადასახადის გადამხდელად ირიცხება 1999 წლის 23 ივნისიდან და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 245433231;

მისი იურიდიული მისამართია: საქართველო, გორის რაიონი, სოფ. კარალეთი.

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი – დირექტორი – ლელი აბულაძე (პნ#01030040768) საქართველო.

საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორია:

– „FRYSIAN ENGINEERING S.A., 677167, პანამა – 100% წილი;

. საწარმოს გააჩნია შემდეგი ძირითადი ქვედანაყოფები:

- ავტომანქანების შოურუმი თბილისში;
- ავტომანქანების შოურუმი ბათუმში;
- სათადარიგო ნაწილების საწყობი;
- ავტოსერვისი;
- მარკეტინგის განყოფილება;
- ეკონომიკური განყოფილება;
- საფინანსო განყოფილება;

2. საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები:

2. ბიზნეს გარემოსა და რისკების მიმოხილვა:

2.1. კომპანიის პროდუქცია იყიდება ქ. თბილისსა და ქ. ბათუმში. ავტომანქანების და მათი მარაგნაწილების რეალიზაციის ბაზარზე, აგრეთვე ავტომანქანების სერვისზე დიდი კონკურენციაა. ჩვენი კომპანია დღეისათვის ართმევს თავს ამ კონკურენციას, პროდუქციის ხარისხისა და აქტიური მარკეტინგული საქმიანობის ხარჯზე. ამასთან, ჩვენ ვართ BMW AG-ის ოფიციალური დილერი საქართველოში, რაც ავტოსერვისის, სასაწყობე მეურნეობის, შრომის, აღრიცხვა-ანგარიშგების და მენეჯმენტის ევროპული სტანდარტებით ორგანიზებასა და წარმოებას გულისხმობს. დღეისათვის საწარმოს ავტოსერვისი თავისი ტექნიკური აღჭურვილობით ერთერთი საუკეთესოა ამიერკავკასიაში.

როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველო არ ფლობს განვითარებულ ბიზნესს და მარეგულირებელ ინფრასტრუქტურას, რომელიც დამახასიათებელია უფრო მეტად თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისათვის. დაბალია მოსახლეობისა და მეწარმე სუბიექტების მსყიდველუნარიანობა. პრაქტიკულად ნულის ტოლია სახელმწიფო შეკვეთები ჩვენს პროდუქციასა და მომსახურებაზე.

კორონავირუსის პანდემიამ და მსოფლიო ეკონომიკაში კრიზისმა შესაძლოა გავლენა იქონიოს იმპორტული პროდუქციის ფასებზე და მოწოდების პირობებზე, რაც უარყოფითად აისახება კომპანიის ფინანსურ შედეგებზე და მენეჯმენტზე.

ვალუტის კურსის მერყეობა გავლენას ახდენს პროდუქციის თვითღირებულებაზე, ხოლო მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გამო, ფასების ზრდა პრემიუმ კლასის ავტომანქანების ბაზრის მოცულობას არსებითად შეამცირებს, რაც გაზრდის ბიზნესის რისკებსა და შეამცირებს გაყიდვების სტაბილურობას.

2.2. ზემოთ აღნიშნული რისკების თავიდან აცილების მიზნით, კომპანიის პარტნიორთა გადაწყვეტილების შესაბამისად, ხელმძღვანელობას შემუშავებული აქვს გეგმა-ღონისძიებები, კერძოდ:

- ისეთი თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა საწარმოში, რაც უზრუნველყოფს ხარისხის სტაბილურობას, ენერგომატარებლების მოხმარების ეკონომიურობას და ექსპლუატაციის ხარჯების შემცირებას;

- გაყიდვების ზრდის მიზნით, პროდუქციის რეალიზაციის პროცესში აქტიურად ჩაერთონ საფინანსო კომპანიები და მომხმარებლებს საქონლის ღირებულების დასაფარად სხვადასხვა ფინანსური პროდუქტის (სესხი, ღიზინგი და სხვა) გამოყენების საშუალება ჰქონდეთ;

- 2017 წელს გაიხსნა კომპანიის ბათუმის ფილიალი. ფილიალის საშუალებით დასავლეთ საქართველოს მომხმარებლებს უშუალოდ შეეძლებათ გაეცნონ ჩვენს საქონელს და მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია მათ შესახებ, რაც დადებითად იმოქმედებს გაყიდვებზე ამ რეგიონში. ბათუმში იგეგმება სერვისცენტრის გახსნაც.

- მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში დაგეგმილია სარეკლამო პროცესის გააქტიურება, რისთვისაც კომპანიას გამოყოფილი აქვს მნიშვნელოვანი სახსრები. დაწყებულია მუშაობა კომპანიის სპეციალური ვებგვერდის მეშვეობით შეკვეთების მიღების გასაზრდელად და კომპანიის მიერ ორგანიზებული აქტივობებისა და აქციების შესახებ ინფორმაციის დროულად და ხარისხიანად მისაწოდებლად.

ბოლო წლების ფინანსური შედეგებიდან გამომდინარე სერიოზული საფრთხე შეექმნა საწარმოს ფუნქციონირებას. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის 2020 წლის 18 დეკემბრის განჩინებით სასამართლო წარმოებაში მიღებული იქნა შპს „ომეგა მოტორსის“ გადახდისუნარიანობის საქმე. საქმის დაწყების ძირითადი მიზეზი გახდა სს „საქართველოს ბანკის“ მოთხოვნა შპს „ომეგა მოტორსის“ მიმართ სოლიდარული პასუხისმგებლობის საფუძველზე 146 542 872,35 ლარის სესხის გადახდის შესახებ. აღნიშნული თანხა მოიცავს უშუალოდ შპს „ომეგა მოტორსის“ მიერ არებულ სესხსაც. საანგარიშო პერიოდის შემდგომ, 2021 წლის 25 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის მიერ დაკმაყოფილდა სს „საქართველოს ბანკის“ მოთხოვნა და შპს „ომეგა მოტორსის“ მიმართ სოლიდარული პასუხისმგებლობის საფუძველზე 146 542 872,35 ლარის ოდენობით კრედიტორთა სიაში იქნა შეყვანილი. დღეის მდგომარეობით სასამართლოს გადაწყვეტილებით მიმდინარეობს კომპანიის რეაბილიტაცია, დანიშნულია რეაბილიტაციის მმართველი.

3. მნიშვნელოვანი მოვლენები:

3.1. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები:

3.1.1. კომპანიაში ამ ეტაპზე რაიმე კვლევები არ ტარდება.

3.2. სოციალური პროექტები:

3.2.1. კომპანია დიდ ყურადღებას უთმობს დასაქმების პროგრამას. დასაქმებულთა საერთო რაოდენობა თვალნათლივ ჩანს ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

მაჩვენებლების დასახელება	2021 წ
დასაქმებულთა საშ. წლიური საერთო რაოდენობა	69
მ.შ. ქალები	26

წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2021 წლის 25 სექტემბერს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

4.1. საწარმოს მიერ 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მსს ფასს-ის შესაბამისად განხორციელდა. 4.2. საწარმოს საოპერაციო (მუშა) და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა – ლარი;

4.2. მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების თანახმად 2015 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის – „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესწორებები (მსს ფასს)“ - შედეგად ცვლილებები შევიდა მსს ფასს-ის რიგ მუხლებში, რომელთა გამოყენება საგადასახადო 2017 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, რაც გათვალისწინებულია საწარმოს ფინანსურ აღრიცხვა-ანგარიშგებაში.

4.3. საწარმოს 2017 წლამდე საანგარიშგო პერიოდებში იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებს და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემაზე გადავიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

4.4. მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი შეეხო მხოლოდ საგადასახადო ვალდებულებების კორექტირებას, რაც დაექვემდებარა საკუთარი კაპიტალის კატეგორიაში აღიარებას.

4.5.. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების გაანალიზების მიზნით, შესაძრისობის პრინციპიდან გამომდინარე ფინანსური ანგარიშგების უწყისებში შეტანილია წინა საანგარიშგებო პერიოდის – ფინანსური ინფორმაცია.

4.6. საწარმოს მიერ წარმოდგენილი 2021 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და მსს ფასს-ის შესაბამისად;

4.7. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას;
- საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგებას;
- ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
- განმარტებით შენიშვნებს.

წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2021 წლის 25 სექტემბერს.

კომპანიის რეაბილიტაციის მმართველი

გიორგი ხუნდაძე

კომპანიის დირექტორი

ლელი აბულაძე





ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა

	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	49788	41269	227882
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	794078	995382	1474103
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	20128	21175	426728
მარაგები	3655176	3684920	5358018
მზა პროდუქცია	0	3684920	5302329
სხვა	3655176	0	55689
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	58779	30617	146219
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	19860	24014	28606
ძირითადი საშუალებები	645225	848345	865749
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	1877225	1877225	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	418749
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	7120259	7522947	8946054
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	1542730	246520	0
სავაჭრო ვალდებულებები	1941769	2273278	1966186
ანარიცხები	0	1446314	948540
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	5612	6988	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
გამომუშავებული შემოსავალი	1465640	1816231	1878777
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	3293590	3665268	5676985
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	1330799	2015	230
სულ ვალდებულებები	9580140	9456614	10470718
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	10136126	10136126	10136126
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაკრედიტი ზარალი)	-14512178	-13985964	-11660790
გადაფასების რეზერვი	1916171	1916171	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	-2459881	-1933667	-1524664
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	7120259	7522947	8946054
სულ მოკლევადიანი აქტივები	872984	4773362	7632950
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	6286550	9456614	10470718

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები

	31/12/2021	31/12/2020
ნეტო ამონაგები	6854489	11676776
საქონლის გაყიდვიდან	6581163	11410270
მომსახურების გაწევიდან	273326	266506
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-5686162	-9915282
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	1168327	1761494
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	1198800
დასაქმებულთა ანაზღაურება	-763356	-742707
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-209813	-229070
საპროცენტო შემოსავალი	0	5997
საპროცენტო ხარჯი	-35073	-239205
იჯარის ხარჯი	-675328	-591731
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-563737	-645325
სულ საოპერაციო ხარჯები	-2247307	-1243241
საოპერაციო მოგება	-1078980	518253

გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:

ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	-235551
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	142017
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო		
სახსრების გადაფასებიდან	597795	-2370199
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-45029	-379694

მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-526214	-2325174
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-526214	-2325174

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	1916171
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების		
გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	1916171
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-526214	-409003
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-1933667	-1524664
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის		
შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-2459881	-1933667

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა

	31/12/2021	31/12/2020
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-4820549	994881
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	-4915
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	4854882 34333	-1168347 -178381
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-25814	-8232
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	41269	227882
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	49788	41269

შპს "ომეგა მოტორს"-ის მმართველი

/გიორგი ხუნდაძე/

შპს "ომეგა მოტორს"-ის დირექტორი

/ლელი აბულაძე/

მთავარი ბუღალტერი

/ნანა ბერიძე/





განმარტებითი შენიშვნები

შპს „ომეგა მოტორსი“ 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ომეგა მოტორსი“ გადასახადის გადამხდელად ირიცხება 1999 წლის 23 ივნისიდან და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 245433231;

მისი იურიდიული მისამართია: საქართველო, გორის რაიონი, სოფ. კარალეთი.

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი – დირექტორი – ლელი აბულაძე (პნ01030040768) საქართველო.

საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორია:

– „FRYSIAN ENGINEERING S.A., 677167, პანამა – 100% წილი;

. საწარმოს გააჩნია შემდეგი ძირითადი ქვედანაყოფები:

- ავტომანქანების შოურუმი თბილისში;
- ავტომანქანების შოურუმი ბათუმში;
- სათადარიგო ნაწილების საწყობი;
- ავტოსერვისი;
- მარკეტინგის განყოფილება;
- ეკონომიკური განყოფილება;
- საფინანსო განყოფილება;

2. საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები:

3. ბიზნეს გარემოსა და რისკების მიმოხილვა:

3.1. კომპანიის პროდუქცია იყიდება ქ. თბილისსა და ქ. ბათუმში. ავტომანქანების და მათი მარაგნაწილების რეალიზაციის ბაზარზე, აგრეთვე ავტომანქანების სერვისზე დიდი კონკურენციაა. ჩვენი კომპანია დღეისათვის ართმევს თავს ამ კონკურენციას, პროდუქციის ხარისხისა და აქტიური მარკეტინგული საქმიანობის ხარჯზე. ამასთან, ჩვენ ვართ BMW AG-ის ოფიციალური დილერი საქართველოში, რაც ავტოსერვისის, სასაწყობე მეურნეობის, შრომის, აღრიცხვა-ანგარიშგების და მენეჯმენტის ევროპული სტანდარტებით ორგანიზებასა და წარმოებას გულისხმობს. დღეისათვის საწარმოს ავტოსერვისი თავისი ტექნიკური აღჭურვილობით ერთერთი საუკეთესოა ამიერკავკასიაში.

როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველო არ ფლობს განვითარებულ ბიზნესს და მარეგულირებელ ინფრასტრუქტურას, რომელიც დამახასიათებელია უფრო მეტად თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისათვის. დაბალია მოსახლეობისა და მეწარმე სუბიექტების

მსყიდველუნარიანობა. პრაქტიკულად ნულის ტოლია სახელმწიფო შეკვეთები ჩვენს პროდუქციასა და მომსახურებაზე.

კორონავირუსის პანდემიამ და მსოფლიო ეკონომიკაში კრიზისმა შესაძლოა გავლენა იქონიოს იმპორტული პროდუქციის ფასებზე და მოწოდების პირობებზე, რაც უარყოფითად აისახება კომპანიის ფინანსურ შედეგებზე და მენეჯმენტზე.

ვალუტის კურსის მერყეობა გავლენას ახდენს პროდუქციის თვითღირებულებაზე, ხოლო მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გამო, ფასების ზრდა პრემიუმ კლასის ავტომანქანების ბაზრის მოცულობას არსებითად შეამცირებს, რაც გაზრდის ბიზნესის რისკებსა და შეამცირებს გაყიდვების სტაბილურობას.

3.2. ზემოთ აღნიშნული რისკების თავიდან აცილების მიზნით, კომპანიის პარტნიორთა გადაწყვეტილების შესაბამისად, ხელმძღვანელობას შემუშავებული აქვს გეგმა-დონისძიებები, კერძოდ:

- ისეთი თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა საწარმოში, რაც უზრუნველყოფს ხარისხის სტაბილურობას, ენერგომატარებლების მოხმარების ეკონომიურობას და ექსპლუატაციის ხარჯების შემცირებას;

- გაყიდვების ზრდის მიზნით, პროდუქციის რეალიზაციის პროცესში აქტიურად ჩაერთონ საფინანსო კომპანიები და მომხმარებლებს საქონლის ღირებულების დასაფარად სხვადასხვა ფინანსური პროდუქტის (სესხი, ღიზინგი და სხვა) გამოყენების საშუალება ჰქონდეთ;

- 2017 წელს გაიხსნა კომპანიის ბათუმის ფილიალი. ფილიალის საშუალებით დასავლეთ საქართველოს მომხმარებლებს უშუალოდ შეეძლებათ გაეცნონ ჩვენს საქონელს და მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია მათ შესახებ, რაც დადებითად იმოქმედებს გაყიდვებზე ამ რეგიონში. ბათუმში იგეგმება სერვისცენტრის გახსნაც.

- მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში დაგეგმილია სარეკლამო პროცესის გააქტიურება, რისთვისაც კომპანიას გამოყოფილი აქვს მნიშვნელოვანი სახსრები. დაწყებულია მუშაობა კომპანიის სპეციალური ვებგვერდის მეშვეობით შეკვეთების მიღების გასაზრდელად და კომპანიის მიერ ორგანიზებული აქტივობებისა და აქციების შესახებ ინფორმაციის დროულად და ხარისხიანად მისაწოდებლად.

ბოლო წლების ფინანსური შედეგებიდან გამომდინარე სერიოზული საფრთხე შეექმნა საწარმოს ფუნქციონირებას. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის 2020 წლის 18 დეკემბრის განჩინებით სასამართლო წარმოებაში მიღებული იქნა შპს „ომეგა მოტორსის“ გადახდისუნარიანობის საქმე. საქმის დაწყების ძირითადი მიზეზი გახდა სს „საქართველოს ბანკის“ მოთხოვნა შპს „ომეგა მოტორსის“ მიმართ სოლიდარული პასუხისმგებლობის საფუძველზე 146 542 872,35 ლარის სესხის გადახდის შესახებ. აღნიშნული თანხა მოიცავს უშუალოდ შპს „ომეგა მოტორსის“ მიერ არებულ სესხსაც. საანგარიშო პერიოდის შემდგომ, 2021 წლის 25 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის მიერ დაკმაყოფილდა სს „საქართველოს ბანკის“ მოთხოვნა და შპს „ომეგა მოტორსის“ მიმართ სოლიდარული პასუხისმგებლობის საფუძველზე 146 542 872,35 ლარის ოდენობით კრედიტორთა სიაში იქნა შეყვანილი. დღეის მდგომარეობით სასამართლოს გადაწყვეტილებით მიმდინარეობს კომპანიის რეაბილიტაცია, დანიშნულია რეაბილიტაციის მმართველი.

3. მნიშვნელოვანი მოვლენები:

3.1. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები:

3.1.1. კომპანიაში ამ ეტაპზე რაიმე კვლევები არ ტარდება.

3.2. სოციალური პროექტები:

3.2.1. კომპანია დიდ ყურადღებას უთმობს დასაქმების პროგრამას. დასაქმებულთა საერთო რაოდენობა თვალნათლივ ჩანს ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

მაჩვენებლების დასახელება	2021 წ
დასაქმებულთა საშ. წლიური საერთო რაოდენობა	69
მ.შ. კალები	26

წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2021 წლის 25 სექტემბერს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

4.1. საწარმოს მიერ 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მსს ფასს-ის შესაბამისად განხორციელდა. 4.2. საწარმოს საოპერაციო (მუშა) და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა – ლარი;

4.2. მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების თანახმად 2015 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის – „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესწორებები (მსს ფასს)“ - შედეგად ცვლილებები შევიდა მსს ფასს-ის რიგ მუხლებში, რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2017 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, რაც გათვალისწინებულია საწარმოს ფინანსურ აღრიცხვა-ანგარიშგებაში.

4.3. საწარმოს 2017 წლამდე საანგარიშგო პერიოდებში იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებს და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემაზე გადავიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

4.4. მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი შეეხო მხოლოდ საგადასახადო ვალდებულებების კორექტირებას, რაც დაექვემდებარა საკუთარი კაპიტალის კატეგორიაში აღიარებას.

4.5. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების გაანალიზების მიზნით, შესაძრისობის პრინციპიდან გამომდინარე ფინანსური ანგარიშგების უწყისებში შეტანილია წინა საანგარიშგებო პერიოდის – ფინანსური ინფორმაცია.

4.6. საწარმოს მიერ წარმოდგენილი 2021 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და მსს ფასს-ის შესაბამისად;

4.7. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას;
- საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგებას;
- ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
- განმარტებით შენიშვნებს.

5. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება:

5.1. ფულადი სახსრები:

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებულ ფულად სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახა ცალ-ცალკე, პირდაპირი მეთოდით;

5.2. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულად სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის – 31 დეკემბერს არსებული კურსით;

5.3. შეზღუდული ფული ან ფულის ეკვივალენტები საწარმოს საანგარიშგებო პერიოდში არ გააჩნდა;

5.4. მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი:

საწარმოს საანგარიშგებო წლის დასაწყისისათვის გააჩნდა საქონლის შესაძენად გადარიცხული თანხების დიდი ნაშთი, რომელიც პერიოდულად იხურება საქონლის მიღებით;

5.5. საწარმოს მიერ განხორციელებული ინვესტიციები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახა თვითღირებულების მოდელით;

5.6. საინვესტიციო ქონება:

საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის საწარმოს საინვესტიციო ქონება არ გააჩნდა.

5.7. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები:

შესყიდული მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით.

5.8. მარაგების თვითღირებულების აღიარება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულით;

5.9. ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის საწვავის შესყიდვა წარმოებს ტალონებით და აღირიცხება შესყიდვის ღირებულებით. საწვავი აღირიცხება მარაგების სახით განცალკევებულად. საწვავი ავტომანქანებზე ჩამოიწერება სასაქონლო ზედნადების ან ავტოსაგზაო ბარათების მიხედვით ფაქტობრივად გარბენილი კილომეტრებისა და ხარჯვის ნორმების შესაბამისად.

5.10. საწარმოს გრძელვადიანი მარაგები არ გააჩნია.

5.11. კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ცვეთის გამოკლებით;

5.12. ძირითადი საშუალებები:

ძირითადი საშუალებების გაუფასურების ნიშნები საანგარიშგებო პერიოდისათვის დადგენილი არ ყოფილა და ანგარიშგებაში გაუფასურების ზარალი არ დაფიქსირებულა;

5.13. არამატერიალური აქტივები:

საწარმოს გააჩნია პროგრამული უზრუნველყოფა და ვადიანი ლიცენზია პროგრამის გამოყენებაზე, რაც ასახულია არამატერიალური აქტივის სახით;

5.14. სასესიო ვალდებულებები:

საწარმოს გააჩნია მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულება, სესხების სახით, თანხით 3 293 590,17 ლარი, რაც აღებული იყო საწარმოს საბრუნავი სახსრების შესავსებად.

5.15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:

საწარმოს სავაჭრო მოთხოვნების ანგარიშზე ასახული აქვს თანხები, რომლებიც წარმოიქმნა დარიცხული შემოსავლებიდან და რომელთა გადახდაც საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის არ განხორციელებულა. ამასთან, საზოგადოებას საქონლისა და მომსახურების მიწოდება დაკავშირებული მხარეების მიმართ არ განუხორციელებია. ასეთის არსებობის შემთხვევაში მათი ასახვა მოხდებოდა განცალკევებულად.

5.16. გაცემული სესხები:

სხვა კომპანიაზე სესხად გაცემული თანხები დაიხურა 2020 წელს.

5.17. სავაჭრო ვალდებულებები:

საწარმოს სავაჭრო ვალდებულებების ანგარიშზე ასახული აქვს თანხები, რომლებიც წარმოიქმნა დარიცხული ხარჯებიდან და რომელთა გადახდაც საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის არ განხორციელებულა. შესაბამისად, სავაჭრო ვალდებულებები აღიარებულია პირვანდელი ღირებულებით.

6. საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

6.1. შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;

6.2. ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები და ხარჯები და მოგება ზარალი ასახულია ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდით (მოდელით);

6.3. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად საწარმო მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. „ესტონური მოდელით“. დაბეგრის ობიექტია განაწილებული მოგება, ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნისათვის არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან განაცემებს.

6.4. წარმოება საკმაოდ ენერგოტევადია და შესაბამისად მოხმარებული ელექტროენერგიის და ბუნებრივი აირის ხარჯი საკმაოდ მაღალია. ასევე მაღალია წყლის დანახარჯი, რაც ძირითადად ავტომატების რეცხვით არის გამოწვეული;

6.5. დამატებითი განმარტებები საქმიანობის შედეგების შესახებ:

6.5.1. ამონაგები:

საწარმოს ამონაგები ფორმირდება დასაბეგრი და დაუბეგრავე რეალიზაციებიდან. დასაბეგრი რეალიზაციები სხვადასხვა მომსახურებიდან, ავტონაწილების და ზეთების რეალიზაციიდან ფორმირდება, ხოლო დაუბეგრავე მსუბუქი ავტომატების რეალიზაციიდან;

6.5.2. არასაოპერაციო შემოსავალი:

6.5.2.1. სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება/ზარალი:

ანგარიშგებაში შეტანილია საკურსო სხვაობები, რომელიც წარმოიშვა მიმდინარე პერიოდში ფულადი მუხლების გადაფასების (წლის ბოლოს არსებული კურსის

შესაბამისად) დროს. შესაბამისად, მსს ფასს-ის 30.10 განყოფილების მოთხოვნებიდან გამომდინარე აღნიშნული თანხები აკუმულირდა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში,

6.5.2.2. საპროცენტო შემოსავალი:

საწარმოს საანგარიშო პერიოდში საპროცენტო სარგებელი არ დარიცხვია. წინა პერიოდებში მსს ფასს-ის მე-11 განყოფილების მოთხოვნებიდან გამომდინარე აღნიშნული თანხები განცალკევებულად იყო გამჟღავნებული განმარტებით შენიშვნებში.

6.8.3. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება:

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აღიარებულია შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს. ხოლო, ჩამოწერა ხორციელდება „საშუალო შეწონილი“ ღირებულებით.

6.8.4. რეკლამა და მარკეტინგი:

საწარმოს 2021 წელს გაწეული აქვს სარეკლამო ხარჯები 5943 ლარის ოდენობით.

6.8.5. მიწოდების დანახარჯები:

საწარმოს სატრანსპორტო ხარჯებმა 2021 წელს 12029,45 ლარი შეადგინა;

6.8.6. თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამრჯელო

თანამშრომელთა ხელფასებმა 763356,47 ლარი შეადგინა.

6.8.7. ცვეთა და ამორტიზაცია:

დასახელება	2021 წ.
ცვეთა და ამორტიზაცია	209812,8
ჯამი	209812,8

6.8.8. აქტივების გაუფასურება:

საანგარიშო პერიოდში ჩამოიწერა უიმედო მოთხოვნები;

6.8.9. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები:

6.8.9.1. აუდიტის ანაზღაურება:

დასახელება	2021 წ.
აუდიტის მომსახურება	0
ჯამი	0

6.8.9.2. საკონსულტაციო ხარჯები:

საკონსულტაციო ხარჯები ძირითადად ფინანსურ და იურიდიულ მომსახურებაზე იქნა გაწეული;

6.8.9.3. საგადასახადო ხარჯები (გარდა მოგების გადასახადისა):

ჩაუთვლელი დღგ-ს ხარჯმა 74554,6 ლარი ხოლო ქონების გადასახადმა 8765,21 ლარი შეადგინა;

6.8.9.4 საოპერაციო იჯარა:

#	დასახელება	p/n	misamarTi	vada	SeniSvna
1	შპს „ბენმონტი-BENMONT“	405010731	moZravi qonebis ijara	uvado	
2	შპს „ომეგა მოტორ ჯგუფი“		ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-10 კილომეტრი		
3	შპს „მატრიმონი“	245440447	q. Tbilisi, kereseliZis q. #23	uvado	
4	შპს „ლორუსი“	245441936	q, baTumi, meliqiSvilis 5-7/rusTavelis 43	uvado	
5	შპს „ოქო“	245434169	q. Tbilisi, ioane petriwis q. #13	uvado	

დასახელება

2021 წ

იჯარის ხარჯი

675328,08

ჯამი

675328,08

6.8.9.5. სხვა საოპერაციო ხარჯები:

სხვა საოპერაციო ხარჯები საკანცელარიო, საოფისე, სამეურნეო და სხვადასხვა ხარჯებისგან შედგება;

6.8.6. ფინანსური დანახარჯები:

ფინანსური დანახარჯები საპროცენტო ხარჯებისაგან და სხვადასხვა სანქციებისაგან არის შედგენილი.

7. ფულადი ნაკადების ანგარიშგება

7.1. ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში გამიჯნულადაა ასახული ფულადი ნაკადები საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან;

7.2. ფულად ნაკადებში საოპერაციო საქმიანობიდან შეტანილია ამონაგები პროდუქციისა და მარაგების რეალიზაციიდან, მომსახურების გაწევიდან, მათ შორის იჯარიდან.

7.3. საოპერაციო საქმიანობიდან ფულად ნაკადებში გათვალისწინებული არ არის ამონაგები ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან და დანახარჯები ძირითადი აქტივების შეძენასა და მონტაჟზე;

7.4. საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებულ დანახარჯებში შეტანილია საგადასახადო ვალდებულებების დაფარვასთან დაკავშირებული გადახდები;

7.5. ძირითად აქტივების რეალიზაციიდან შემოსულობები და დანახარჯები მათ შესყიდვასა და მონტაჟზე საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკით მიკუთვნებულია საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე;

7.6. საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკით მიღებული დივიდენდები კლასიფიცირდება, როგორც საინვესტიციო ფულადი ნაკადები, ხოლო გაცემული დივიდენდები – როგორც ფინანსური ოპერაციები. საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს დივიდენდები არ მიუღია;

7.7. ფულად ნაკადებში ფინანსური საქმიანობიდან შეტანილია მიღებული და გადახდილი პროცენტები, სესხებთან დაკავშირებული ოპერაციები და სხვა ფინანსური ოპერაციები;

8. ცვლილებები საწარმოს საკუთარ კაპიტალში

8.1. 2021 წელს საწარმოს კაპიტალში პარტნიორთა მიერ დამატებითი შენატანი არ განხორციელებულა და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის 10136126 (ათი მილიონ ასოცდათექვსმეტიათას ასოცდაექვსი) ლარს შეადგენდა.

8.2. საანგარიშგებო პერიოდში ფინანსურმა ზარალმა 526 209 ლარი შეადგინა. შედეგად, კომპანიის საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდში შემცირდა აღნიშნული თანხით.

9. დასკვნითი ნაწილი

9.1. საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება მიღებულია და ნებადართულია გასაცემად 2021 წლის 25 სექტემბერს;

9.2. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მაკორექტირებელი მოვლენები:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის 2020 წლის 18 დეკემბრის განჩინებით სასამართლო წარმოებაში მიღებული იქნა შპს „ომეგა მოტორსის“ გადახდისუნარიობის საქმე. საქმის დაწყების ძირითადი მიზეზი გახდა სს „საქართველოს ბანკის“ მოთხოვნა შპს „ომეგა მოტორსის“ მიმართ სოლიდარული პასუხისმგებლობის საფუძველზე 146 542 872,35 ლარის სესხის გადახდის შესახებ. აღნიშნული თანხა მოიცავს უშუალოდ შპს „ომეგა მოტორსის“ მიერ არებულ სესხსაც. საანგარიშო პერიოდის შემდგომ, 2021 წლის 25 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის მიერ დაკმაყოფილდა სს „საქართველოს ბანკის“ მოთხოვნა და შპს „ომეგა მოტორსის“ მიმართ სოლიდარული პასუხისმგებლობის საფუძველზე 146 542 872,35 ლარის ოდენობით კრედიტორთა სიაში იქნა შეყვანილი. დღეის მდგომარეობით სასამართლოს გადაწყვეტილებით მიმდინარეობს კომპანიის რეაბილიტაცია, დანიშნულია რეაბილიტაციის მმართველი.

რეაბილიტაციის მმართველი

გიორგი ხუნდაძე

კომპანიის დირექტორი

ლელი აბულაძე

მთავარი ბუღალტერი

ნანა ბერიძე